თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35

2010 წლის 16 ნოემბერი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის „სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის'' თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 29 ივლისის №30 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზ. №41) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ხუცაიძე**

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო

აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც „საქართველოს კონსტიტუციის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'', საქართველოს ორგანული კანონის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' კანონების შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.
2. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'', საქართველოს ორგანული კანონის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში.
3. სამსახური ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
4. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. თელავი, ჩოხელის ქ. №33.
5. სამსახურს აქვს შტამპი, ბლანკი და ბეჭედი.
6. სამსახური იყენებს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტიტულიან ბლანკს საკუთარი დასახელების დამატების აღნიშვნით.

მუხლი 2. სამსახურში საქმისწარმოებისა და ბეჭდის გამოყენების წესი

1. სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების წამოჭრის, შესწავლის, დამუშავების, აღრიცხვისა და სხვა მოქმედებათა შესრულების დროს მიმდინარეობს საქმისწარმოება.

2. საქმისწარმოებისას სამსახური უფლებამოსილია ოფიციალური დოკუმენტების გაცემისას გამოიყენოს სამსახურის ბლანკი და ბეჭედი, ხოლო ვალდებულია შემოსულ დოკუმენტებზე (განცხადებებზე, მომართვებზე და სხვა) დასვას შტამპი და მიანიჭოს სარეგისტრაციო ნომერი.

3. სამსახურის ბეჭედი სავალდებუოდ გამოიყენება: ცნობებზე, სამივლინებო მოწმობებზე, უფლებამოსილებების განხორციელებისას შესრულებულ დოკუმენტებზე, აგრეთვე თვითმმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. დაუშვებელია ბეჭდის, ბლანკის ან შტამპის გამოყენება ისეთი მოქმედების შესრულებისას ან/და იმ დოკუმენტებზე, რომელიც დაკავშირებული არ არის სამსახურის საქმიანობასთან.

5. ბეჭედი გამგებლის ბრძანებით და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით ბარდება სამსახურის უფროსს. მისი არყოფნისას ან სხვა შემთხვევაში, იმავე პროცედურის დაცვით, ბეჭედი შეიძლება ჩაბარდეს სამსახურის სხვა თანამშრომელსაც. მიღება-ჩაბრების აქტზე ხელმოწერა წარმოშობს ბეჭდის შენახვა-გამოყენებაზე პირადი პასუხისმგებლობის საფუძველს.

6. ბეჭედზე, შტამპზე და ბლანკზე დაიტანება მუნიციპალიტეტისა და სამსახურის ზუსტი სახეწოდება, რომელიც საკრებულოს მიერ ამ სამსახურის შექმნის აქტშია მითითებული. ამასთან ერთად, სამსახურის ბეჭედი, შტამპი და ბლანკი უნდა ქმნიდეს გამგეობის შესაბამისი ატრიბუტიკის ვიზუალურ ეფექტს. მათ შედგენაში დაუშვებელია სახელმწიფო და მცირე სახელმწიფო გერბის გამოყენება.

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი ფუნქციები, ამოცანები და უფლება-მოვალეობანი

1. სამსახურის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისათვის მომზადება და ნამდვილ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზება;

ბ) ახალგაზრდებთან პატრიოტულ - აღმზდელობითი მუშაობა;

გ) სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზება;

დ) აქტიურ, ინდივიდუალურ და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევა, მოზიდვა და გაწვეულთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა;

ე) რეზერვისტთა აღრიცხვის ორგანიზება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება.

2 . სამსახურის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) 17 წლის ასაკის მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა;

ბ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;

გ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიის მუშაობის ორგანიზება;

დ) ხალხისა და სატრანსპორტო რესურსის მობილიზაცია; სამობილიზაციო მოთხოვნათა დაკმაყოფილება ადგილობრივი რესურსის ხარჯზე;

ე) მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა, შესაბამისი ზომების მიღება, მათში დასმული საკითხების დროულად და კანონის ფარგლებში გადაწყვეტა;

ვ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუფერხებლად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებიდან, კერძო სტრუქტურებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ზ) მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში;

თ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება და მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. სამსახურის საშტატო ნუსხას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამტკიცებს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

3. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს მოხსენებით ბარათს ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, პირველად სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურში გაწვევისა და სხვა სამუშაოების შესრულების შესახებ სათანადო ბრძანების გამოსაცემად;

გ) ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს:

გ.ა) სამობილიზაციო რესურსის სრულყოფილ და ხარისხიან აღრიცხვას;

გ.ბ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევას;

გ.გ) დადგენილი ფორმის ანგარიშების და მოხსენებების წარდგენას შესაბამის ორგანოებში;

გ.დ) სამსახურის სამობილიზაციო მზადყოფნას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში გასცემს რეკომენდაციებს და მითითებებს;

დ.ა) უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუფერხებლად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მათი ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;

დ.ბ) სამსახურში შემოსულ საკითხებს ანაწილებს სამსახურის თანამშრომელთა შორის;

დ.გ) თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

დ.დ.) იხილავს მოქალაქეთა განცხადებებს და საჩივრებს;

დ.ე) გამგებელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

დ.ვ) ხელმოწერით ადასტურებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ.ზ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

დ.თ) იხილავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ საკითხებს;

დ.ი) შესაბამის საკითხებზე კონსულტაციებს უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, გამგებელს, გამგებლის მოადგილეებს, სტრუქტურული ერთეულების da მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს;

დ.კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვნელთა ცალკეულ დავალებებს;

დ.ლ) ანგარიშვალდებულია თელავის მუნიციპალიტეტისა საკრებულოსა და გამგებლის წინაშე.

დ.მ) ახორციელებს გამგეობის დებულებით, ამ დებულებით და სხვა აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებს და დავალებებს.

4. სამსახურის უფროსის არყოფნისას, უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გათავისუფლებისას სამსახურის უფროსის მოვალეობას გამგებლის დავალებით ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, კანონით დადგენილი წესით.